KA020151134227919

საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

MINISTRY OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

0114 თბილისი, სანაპიროს ქ. №2
2, Sanapiro str., 0114 Tbilisi, Georgia

Tel.: (+995 32) 2 99 11 05
Tel.: (+995 32) 2 99 11 11

**№ 06/65** **08 / იანვარი / 2019 წ.**

ფრიად სასწრაფო

სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას

სსიპ - საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს

სსიპ - „აწარმოე საქართველოში“

სსიპ - სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოს

სსიპ - აკრედიტაციის ერთიან ეროვნულ ორგანო - აკრედიტაციის ცენტრს

გაცნობებთ, რომ 2019 წლის თებერვლის პირველ ნახევარში, დაგეგმილია საქართველო-თურქეთის ერთობლივი ეკონომიკური და სავაჭრო თანამშრომლობის კომისიის პირველი სხდომის (ქ. სტამბული) და საქართველო-ბულგარეთის მთავრობათაშორისი სავაჭრო, ეკონომიკური, სამეცნიერო და ტექნიკური კომისიის მე-6 სხდომის (ქ. სოფია) გამართვა.

საქართველოს მხრიდან ხსენებული სხდომების თანათავმჯდომარე იქნება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ბატონი გიორგი ქობულია.

ქართული მხარის მიერ საორგანიზაციო საკითხების დროულად მოგვარების მიზნით, გთხოვთ, მიმდინარე წლის 16 იანვრამდე, მოგვაწოდოთ იმ კანდიდატურათა ვინაობა (კომისიების წევრი/ექსპერტი), ვინც მიიღებს აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილეობას და ასევე, წარმოგვიდგინოთ საქართველო-თურქეთის, საქართველო-ბულგარეთის სხდომების პროექტში შესატანი საკითხები (ინგლისურ ენაზე).

აქვე გაცნობებთ, რომ აღნიშნული ქვეყნების მიერ ოქმების პროექტში შეტანილ წინადადებებს, დელეგაციების სიებს და ღონისძიებების პროგრამას წარმოგიდგენთ დამატებით.

მინისტრის მოადგილე ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად გენადი არველაძე